საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ხუთშაბათი 6 თებერვალი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ერთობა

ფასი 75 კაპ.

... 8 მანეთი ... 7 ... 20 ... 12 ...

... ტფილისი, ფოსტის ქუჩა № 199 ... „ერთობის" რედაქცია ...

ტელეფონი 16—62.

№ 29 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 29

ხაშურის ორგანიზაცია საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიისა აცნობებს ამხანაგებს, რომ სომხებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპულ გმირ გვარდიელებისა:

ლ. მეტრეველი, ალ. სირაძე, იაშა ცქიტიშვილი, ნ. აბაიაძე, ს. ლომიძე, ვ. ჯანტლიაშვილი, ი. მშვიდობაძე, ჩაფრაძე, დარსავე-ლიძე, შერეხედაშვილი, ჩუბინიძე, კურტანიძე, ავალიანი, ტყემა-ლაძე, წეველიძე, ლომიძე, არჩილ კურტანიძე

და სხვა ამხანაგების ორმოცის თავზე ქ. ხაშურში „ძმათა სასაფლაოზე" (გორათი) ხუთშაბათს 6 თებერვალს გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2—2

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მამა ვახტანგი, დედა ელენე, ძმა ვანო, დები: მარო და სოფიო თიკანაძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ ამხანაგებს ძვირფასი და დაუვიწყარ

**კოტე ვახტანგის ძე თიკანაძის**

უდროოდ გარდაცვალებას. რომლის დაკრძალვა მოხდება 6 თებერვალს 12 საათზე მაკვანეთის (ოზურგეთის მაზრა) მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე. 2—2

ღრმად დამწუხრებული შვილები: ოლია და ვარვარა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უძვირფასესი დედის

**მალა ივანეს ასულის კალანდაძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება შაბათს 8 თებერვალს დ. ხიდისთავში. 1—1

ღრმად დამწუხრებული ძმები: იასონ, ვიქტორი და სანდრო მეტრეველები; გულმოკლული მეუღლე მაშო დათიას ასული მეტრეველისა, შვილები: ვასიკო, ანტონინა, ქეთოკა, ბაბუცა, ანდრუშა და თამარა; გულდამწვარი და სონა ქურდაძისა; დისწულები: ოლღა, ლიზა, ნინა და მარგალიტა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ამხანაგ-მეგობრებს, რომ ქ. ხაშურში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი (ორმოცი),

**ლეონტი ალექსის ძე მეტრეველის**

ხსოვნის აღსანიშნავად, რომელიც ტრაღიკულად დაეცა 26 დეკემბერს (ახ. სტ.) შულავერთან სომხის ჯართან ბრძოლის დროს. (1—1)

ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამ ძვირფასი ადამიანის

**ავქსენტი ივანეს ძე ასათიანის**

უდროოდ გარდაცვალების გამო. დიდათ ვწუხვარ, რომ შეძლება არ მომეცა უკანასკნელი მშვიდობით მეთქვა მისი ცხედარისათვის. ცხარე ცრემლებით დასტირიან საყვარელ ბაბუას ცხედარს ჩემი შვილები—თამარა, ლადო, ბაბორე, ანატოლი და შალიკო. ყარამან გიტოს ძე ნინიძე. (1—1)

ღრმათ დამწუხრებული: ვ.-ვა ელიმუხის ასული მუჯირისა; ნინა ელიმუხის ასული, გიორგი, ვანო და საშა ელიმუხის ძენი ჩიგოგიძენი, ბარბალე, ვერა და ეფროსინე ჩიგოგიძისა, მარო მაქსიმეს ასული გორდელაძისა და ლევან გიორგის ძე გორდელაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 9 თებერვალს 12 საათზე მაკვანეთის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფასი სულის

**ნიკო სიმონის ძე ჯანაშიას**

სულის მოსახსენებლათ. 1—1

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე ნინა გრიგოლის ასული, ძმა მიხეილ, ძმისწულები მამონტი და კონსტანტინე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 3 თებერვალს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ტფილისში გარდაიცვალა

**სევერიანე მაქსიმეს ძე ტოგონიძე**

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება დღეს დილის 10 ს. კუკიის სასაფლაოზე.

ღრმათ დამწუხრებულნი ამხანაგები სერაპიონ ათანასეს ძე გიორგაძე, ილიკო ალექსანდრეს ძე ხაბაიშვილი და რაჟდენ გიგოს ძე ცინცაძე ვაუწყებთ ნაცნობებს და მეგობრებს ამხანაგის

**სიმონ ალექსანდრეს ძე გერიძის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება დღეს 6 თებერვალს წმინდა ნინოს ეკლესიაზე. (1—1)

ღრმათ დამწუხრებული ვაჟი იონა გიტოს ძე კიზირია, ქალი ალათი გიტოს ასული ბოკუჩავასი, შვილები და რძალი ეფროსინე ხარიტონის ასული კიზირიასი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობით გარდაცვალებას უსაყვარლესი დედის

**დარია გიორგის ასული კიზირიასი**

გამოსვენება 6 თებერვალს (ახ. სტ.) ლერმონტოვის ქუჩა № 15. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 1—1

ტრიფონ, გაბრიელ, ირაკლი, ილია, ნატაშა და ლოლა მეგრელიშვილები, რაჟდენ და ქეთინო თევზაძეები გამოვთქვამთ უღრმეს მწუხარებას

**გრიშა გერასიმეს ძე მეგრელიშვილის**

(მოგასანი, „მთის ნიავის") ახალციხის რაიონში თათრებთან ბრძოლის დროს გმირულად სიკვდილს. უერთებთ მოხუც მშობლების ჩვენს ღრმა მწუხარებას,

## ჩვენი საერთაშორისო მიზნები

ჩვენი რესპუბლიკის ბედი წყდება ევროპის დიდ სახელმწიფოთა კონფერენციაზე. მაშასადამე, წყდება იმ ინტერესების მიხედვით, რომელიც აქ, ჩვენს ქვეყანაში აქვთ ევროპის დიდ, მრეწველობით განთქმულ სახელმწიფოებს. ამ მხრივ კი ამიერ-კავკასიაში საერთოდ და საქართველოში კერძოთ პირველი ადგილი უნდა მივანიჭოთ ინგლისს.

ისტორიული ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის, რომელმაც 4 წელიწადზე მეტი გასტანა, იყო ბრძოლა არა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების შესაცვლელად, არამედ იმ ადგილების დასაქვემდებარებლად, რომელნიც აღმოსავლეთში მდებარეობენ. გერმანია და ინგლისი, ორი მეთაური მოპირდაპირე კოალიციებისა, ერთნაირათ ძლიერათ იყვნენ დაინტერესებული ამიერ-კავკასიით, მისი ბუნებრივი სიმდიდრის ექსპლოატაციით. გერმანია დამარცხდა ბრძოლის ველზე და ამით მის ეკონომიურ ინტერესებს ფრთა შეეკვეცა მსოფლიოში. მისი მისწრაფება მსოფლიო სიმდიდრის თავის ხელში მოსახვეჭათ—შეჩერებულ იქნა. შინ დიდი რევოლიუციური მოძრაობის დაწყებით გერმანია დიდიხნით მოსწყდა საგარეო საქმეებზე ზრუნვას. მაშასადამე, არსებითად ბედი ქვეყნისა, განსაკუთრებით ბედი წვრილი ერებისა, რომელნიც დიდ, მსოფლიო სავაჭრო გზაზე მდებარეობენ, როგორც კავკასიის ერები, სწყდება ანტანტის, ე. ი. შეთანხმების სახელმწიფოთა ინტერესის მიხედვით.

და ეს მდგომარეობა სავსებით იხატება ვერსალის კონფერენციაში, რომელსაც ასწრობენ მხოლოდ შეთანხმების სახელმწიფონი და სადაც დღემდე არ მიუშვეს მებრძოლი და დამარცხებული მოწინააღმდეგის წარმომადგენელნი.

ეს კონფერენცია ამ რიგათ არის გამარჯვებულ სახელმწიფოთა თათბირი ქვეყნის ბედიღბალზე:

რა შედეგი მოყვება ამ კონფერენციას? ეს წინდაწინ ძნელი გადასაჭრელია, რადგან ბევრი და მძლავრი წინააღმდეგობანი იხატება დღეს ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და ამ წინააღმდეგობათა ძალის გათვალისწინება შეუძლებელია.

ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ამ კონფერენციას დიდი და რთული პრობლემები აქვს დასახული. მარტო ერთი იდეა ხალხთა ლიგისა, თუ იგი უბრალო დეკლარაციათ არ იქნება გადაქცეული, მოითხოვს გიგანტიურ შრომას და ენერგიას. მასთან დაკავშირებულია საკითხი მსოფლიო მრეწველობის განვითარებისთვის, გზების, მიმოსვლის, მოწესრიგების და საკონფლიკტო საკითხებისთვის საბოლოო და სავალდებულო გადაჭრის საშუალებათა გამოძებნა, ე. ი. იძულებითი არბიტრაჟისა. ერთი სიტყვით ხალხთა ლიგა გულისხმობს იმ დემოკრატიული გეგმის განხორციელებას, რომელსაც სოციალისტური დემოკრატია აყენებდა ყოველთვის, როგორც ერთ ერთ გარანტიას—საერთაშორისო მშვიდობიანობის დასაცველად: ესაა—ნეიტრალიზაცია ზღვის, სრუტეების, თავისუფლება ვაჭრობისა ყველგან, გაუქმება მუდმივი ჯარისა და სამხედრო გემებისა და სხვ.

მაგრამ ამ ზომების განხორციელება იმ „დიდბუნებოვან" ადამიანებსაც არ შეუძლიათ, რომელნიც კონფერენციაზე დაესწრენ, არ შეუძლიათ სწორედ მათი მდგომარეობისა, წარსული საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, და შემოქმედებითი მუშაობის მიხედვით.

ყველა ამის გატარება ცხოვრებაში—ეს მსოფლიო რევოლიუციის მშვიდობიანი გზით მოხდენა იქნება, ხოლო რევოლიუციები ნებაყოფლობით არ სწარმოებს.

და თუ ახალმა ძალამ, რომელსაც ეკუთვნის მომავალი ევროპაში, ე. ი. ევროპის მუშათა დემოკრატიამ თავის მძლავრი გავლენა არ იქონია ამ საერთაშორისო საკითხების ბედზე—იგი ხალხის საკეთილდღეოთ არ გადაწყდება.

კერძო საქართველოს და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბედი სავსებით დამოკიდებულია ამ დემოკრატიზმის იდეების გამარჯვებაზე.

ხალხთა ლიგის დაარსება—საყოველთაო იარაღის აყრა იქნება საუკეთესო თავდები წვრილ ერების დამოუკიდებელ და მყუდრო ცხოვრების უზრუნველყოფისა. დღემდე არც ერთი მცირე ერი, მცირე რესპუბლიკა გარეგნულად დამოუკიდებელი არსებითად არ ყოფილა თავის ბედის პატრონი. მის ნება სურვილს გარეშე მოსული კაპრალები საზღვრავდენ, მის ნების ყოფას ისინი ქმნიდენ; ისინი ვარჯიშობდენ მისი ბედით, მომავალში ცხოვრების მოწყობით.

და თუ ევროპის ძალთა ურთიერთობა ძველი დარჩა—ჩვენი ქვეყანაც ვერ ასცდება ასეთ გზას. ჩვენ ეს არ შეგვაშინებს. ჩვენ ბევრ გვარი მონობა გვინახავს, მონობასთან ბრძოლას უჩვეულ არა ვართ, მაგრამ თავისუფლება რომ ვიგემეთ, თავის ბედის პატრონობას რომ შევეჩვიეთ, მას შემდეგ კვლავ უღელში თავის გაყოფა ერისათვის მეტად ძნელია, მავნებელია.

და ამიტომ ჩვენი გზა—ევროპის დემოკრატიასთან ერთი ბრძოლის გზაა მსოფლიო დემოკრატიულ წესების შემოსაღებათ.

ჩვენი ბედი გადაეხლართა ევროპას, გადაება ევროპის დემოკრატიის ბედს და მხოლოდ ამ უკანასკნელის გამარჯვებაში იპოვის თავის ბედნიერ მომავალს.

## ენა

მასწავლებელთა კრებაზე, 2 თებერვალს, საქალო გიმნაზიის შენობაში სომეხ და რუს მასწავლებლებმა არ მოისურვეს კრებაზე დარჩენა, რადგან სჯა-ბაასი ქართულ ენაზე სწარმოებდა. საერთოთ ასეთი დემონსტრატიული დატოვება კრებების ხშირდება სხვადასხვა ინტელიგენტურ ... ამით ეროვნული განხეთქილება ძლიერდება და იზრდება იმ წრეებში, რომელიც ყოველთვის იყო მთავარი მატარებელი ეროვნული განთვითვისება.

ჩვენ არა გვეთქმის რა ქართული ენის ხმარების წინააღმდეგ. იგი ჩვენი სახელმწიფო ენაა და ენა დიდი უმრავლესობისა სახელმწიფოს მცხოვრებლებში. მაგრამ არ შეგვიძლია არ ღვიაროთ ერთი გარემოება: ინტელიგენცია ტფილისში მრავალეროვანია. ყველა მათ სწავლა რუსულ ენაზე მიუღიათ, ბოროტება იყო ეს თუ ბედნიერება, დღეს ეს მაინც ფაქტია. თავის სამშობლო ენა კი არარუსებს ყველას ეძნელება. მით უმეტეს არ იციან ერთმანეთის ენა ამ უკანასკნელებმა—სომხებმა ქართული და ქართველებმა სომხური. საყველპუროთ თუ ვინმეს ესმის მეზობელ ერის ენა—ეს ცოდნათ ხომ ვერ ჩაითვლება.

აქედან პრაქტიკულათ აუცილებელი ხდება ინტელიგენტურ წრეებში ერთმანეთის გასაგებ საერთო ენაზე ლაპარაკი, ე. ი. რუსული ენის ხმარება.

მართალია, ბევრნი ამ ენის ხმარებას პოლიტიკურ დემონსტრაციის ხასიათს აძლევენ, ამითი უნდათ გამოხატონ თავის რუსოფილური მისწრაფება, ან უფრო სწორათ რომ ვთქვათ, ანტი ქართული ლტოლვილებანი, ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ განა ამ პოლიტიკანების გამო უნდა ავიღოთ ხელი ერთმანეთთან ურთიერთობაზე?

ჩვენ გვგონია, რომ დიდ შეცდომას სჩადიან ისინიც, ვინც დღესვე მოითხოვენ სომხის ან რუსი მასწავლებლის, ექიმის ან სხვა პროფესიის ხალხისაგან ქართულის ცოდნას და არ ცოდნისათვის აშორებს მას საპროფესიო საქმეებში მონაწილეობისაგან. არც მასწავლებელთა კრებას უნდა ენიბებია ასეთი საქციელი. უნდა მიეცათ საშუალება ქართულის არ მცოდნეთათვის რუსულის ხმარების და ორივე ენაზე ეწარმოებიათ სჯა ბაასი, ან და მხოლოდ რუსულით დაკმაყოფილებულიყვნენ.

ამით ჩვენ თავიდან ავიცდენდით უმიზნო და უსარგებლო დემონსტრაციას, პროფესიონალურ წრეებში უადგილო განხეთქილებას.

მეორე მხრივ ამით წავართმევდით ჩვენს მოწინააღმდეგეებს საბუთს ჩვენი საზიანო აგიტაციის საწარმოებლად.

ამით ჩვენ გამოვყოფდით ენის არ მცოდნეს და ჩვენს მოძმეს ჩვენს მოწინააღმდეგეთაგან, რაც ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა. ქართველ ელემენტებს ამ შემთხვევაში მეტი დათმობა და მეტი სახელმწიფოებრივობის გამოჩენა მოეთხოვებათ. მათ არ უნდა დაკარგონ არც ერთი უცხო ძალა, რომელიც ჩვენ გამოგვადგება. მათ არ უნდა შეეცადონ ა ელემენტების ხელოვნურათ ჩამოშორებას, რაც შეიძლება მათ პროფესიონალურ ჯგუფურ ინტერესებს მოუხდება, რადგან მეტოქეს მოაცილებს, მაგრამ ერის და სახელმწიფოსთვის კი საზიანო იქნება.—მტრებს გაუმრავლებს და მეგობრებს შეუმცირებს.

ვმეორებ ენის ნიადაგზე არ უნდა იქნეს ჩამოგდებული უთანხმოება არსად, სადაც კი ეს შესაძლებელია და სადაც ამას ხალხის ინტერესი პირდაპირ არ მოითხოვს.

როცა ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებებში შემოგვაქვს ქართული ენა—ეს ხდება ხალხისთვის, რომელიც ამ დაწესებულებებით სარგებლობს. მაშასადამე ეს დემოკრატიული ზომაა. მაგრამ, როდესაც ნაციონალიზაცია შემოაქვთ ინტელიგენტთა კრებებისთვის—ეს ხდება მხოლოდ ამ ინტელიგენტთა ერთ ჯგუფის სასარგებლოთ და ხალხის საზიანოთ. მაშასადამე აქ დემოკრატიული არაფერია, აქ მხოლოდ ნაციონალიზმია შირმათ და ჯგუფური ინტერესი სარჩულათ. ვასკვნით: ხალხის ენა უნდა იყოს შემოღებული ხალხისთვის და სახალხო დაწესებულებებში, და არა იქ, სადაც იგი მხოლოდ დევნის იარაღათ იქცევა.

## პრესა

გ. გვაზავა არა ნაკლებ გამოჩენილი მწერალია, ვიდრე პოეტი. იგი ორივე დარგში განთქმული და შეუდარებელია. აი, მაგალითად რას სწერს სოციალდემოკრატებზე, „საქარ." № 26:

„სოციალდემოკრატები მხოლოდ სიტყვით არიან დემოკრატები, საქმით კი პირდაპირ იბრძვიან დემოკრატიზმის წინააღმდეგ. მათი მოძღვრებით შეიძლება შეუმუშლეები სრულებით გაძარცოთ, უსასყიდლოდ ჩამოართვათ მიწა-წყალი, და მშიერმწყურვალი ქალები და ბავშვები გაჰყაროთ ქუჩაში; ვაჭრებს—შეაწყვეტინოთ ვაჭრობა და მრეწველებს—მათი საქმის წარმოება. მათი აზრით, დემოკრატია არის მხოლოდ ტფილისის დეპოს მუშები და ტრამვაის კონდუქტორები... რა არის ეს, თუ არა მართლა გამასხარავება დემოკრატიულ პრინციპისა?!

„თვითონ მუშები მალე მიხვდებიან, თუ სად არის სიმართლე. ცხოვრებას თავის რკინის კანონები აქვს და იმათ ვერ შეცვლით ამისთანა აბდა უბდებით. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ამისთანა დემაგოგიას ჯერ კიდევ გასავალი აქვს ჩვენში, სამწუხაროა უფრო იმიტომ, რომ ჩვენ განვიცდით დიად ხანას, როცა უნდა ავაშენოთ ჩვენი სახელმწიფო, როცა უნდა საძირკველი ჩავუყაროთ ჩვენს მომავალ ცხოვრებას. ეხლა ყველას აზრი და გულისყური უნდა მიმართული იყოს ამ დიადი შემოქმედებისაკენ. და სწორედ ამ დროს სოციალდემოკრატები გამოდიან და ჰყვირიან კლასობრივ ინტერესებზე, ჰქადაგებენ შინაურ ბრძოლას, განხეთქილებას და ამით ჰრევენ და ჰწეწენ უამისოდაც არეულ ცხოვრებას. ეს მაშინ, როცა ირგვლივ მარტო მტრები გვახვევიან.

„აქედან სჩანს, რომ სახელმწიფოს აშენების საქმეს სოც. დემოკრატები ვერ აწარმოებენ. ამას მგონი დამტკიცებაც არ უნდა. ჩვენი ცხოვრება უტყუარი საბუთია სოც.-დემოკრატიულ პარტიის სრული გაკოტრებისა, მაგრამ—ვაი ჩვენი ბრალი!—აქ სასიხარულოც არაფერია: ამ გაკოტრებას თან მოსდევს ჩვენი ქვეყნის გაკოტრებაც და შეიძლება დაღუპვაც".

მაშ ასე. სოციალდემოკრატია არ ვარგა. კლასობრივი ბრძოლა დამღუპველია, სოც.-დემოკრატია გაკოტრებულა, და თან გაკოტრებულა საქართველოც... და დაღუპულა.

მაგრამ, მკითხველო, გული ნუ გაგიტყდება. ეს, ასე ვთქვათ, შედეგია პოეზიის ზედმეტი გატაცების..

სოციალდემოკრატიას შეუძლია საქმის კეთება, მაგრამ ესაჭიროება შენი დახმარება.

ყველა ამ პოეტურ აღმაფრენაში, სადაც აზრის ნაცვლად საკუთარი ფანტაზია თამაშობს გ. გვაზავასი, მართალია ერთი აზრი, ის, რომ გარეშე სოციალდემოკრატიისა არ არის ხსნა საქართველოს ხალხისათვის. სოციალდემოკრატია რომ გაკოტრდეს—ქვეყანაც გაკოტრებულათ უნდა ჩავთვალოთ და

# დღეს

ბათუმში სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს გუბერნატორმა ნება არ დართო სოფ. ქედაში მიტინგის გამართვისა.

---

ბერნში (შვეიცარია) გაიხსნა სოციალისტური კონფერენცია. ბაქოს პროლეტარიატის სახელით კონფერენციას რადიოთი სალამი გაეგზავნა.

---

დღეს, 6 თებერვალს, ვეიმარში გაიხსნება გერმანიის საერო ყრილობა. მოელიან სპარტაკელების მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლას. ვეიმარის მეციხოვნე ჯარი მხარს უჭერს საერო კრებას. გოტა, ერფრუტი და აიზენახი დამოუკიდებლების ხელშია.

---

არგენტინას მთელი მოსავალი მოკავშირე სახელმწიფოებმა შეისყიდეს.

---

სურამში საქალაქო არჩევნებში სოც. დემოკრატიულმა პარტიამ № 1 სიით გაიყვანა 14 ხმოსანი, სხვა პარტიებმა 6.

---

მის დამხობა ვცდილობთ. ეროვნულ-დემოკრატები გვაზავას მეთაურობით თვალცრემლიან ლექსს დასწერენ და ეპიტაფიით ამოჰკრიან საქართველოს საფლავის ლოდზე. ქვეყნის ხსნას კი იგინი ვერ მოახერხებენ. მაშ რაღა პირით გამოდიან საარჩევნო ასპარეზზე? რაღა პირით უწოდებენ ამომრჩევლებს ჩვენ მოგვყევითო, თუ ქვეყნის ბედი სოც. დემ. პარტიის ბედზე ჰკიდია?

ნათქვამია, ერთი ჭკვიანური აზრი რეგვენსაც წამოსცდებაო. ასე მოუვიდა ბ. გვაზავასაც. მას წამოსცდა ერთი სიმართლე და შენ, მკითხველო, შეგიძლია აქედან გააკეთო დასკვნა: ისევ სოც. დემოკრატიას უნდა გაუმაგრო ზურგი, რომ იგი მეტის ენერგიით გაუძღვეს ქვეყანას, თორემ გვაზავას ლექსით მოთქმა ვეღარ აღადგენს საფლავიდან დამარხულს ქვეყანას. დაიხსომე ეს და ხმის მიცემის დროს ამით იხელმძღვანელე.

---

**მოქალაქენო!**

ნაციონალისტები მუდამ ომის გაჩაღებას ელტვიან. მათ ხალხის სისხლი არ ენანებათ. სოციალდემოკრატია მშვიდობიანობის მოტრფიალეა. სოციალდემოკრატიამ შეხძლო სომხეთთან ომის დროზე დაბოლოვება.

ხმა მიეცით სოც. დემოკრატიას სიას № 1.

---

# გლეხები და დამფუძნებელი კრება

მოქალაქენო, სოფლის მუშებო!

ვინ არ იყო აქამდის თქვენი ბატონი და ბრძანებელი, ვინ! ბოქაული გინდათ, მაზრის უფროსი, გუბერნატორი, თავადი, ვაჭარი,— ყველას მონა თქვენ იყავით, ყველა თქვენის ოფლითა რჩებოდა და ამავე დროს ყველას აბუჩათ ჰყავდით აგდებული.

ყველასი მონა-მორჩილი იყავით, ყველას ეკუთვნოდით, მხოლოდ თქვენს საკუთარ თავს კი არა. ეს შავბნელი დრო წავიდა, წავიდა სამუდამოთ, მაგრამ ყველა თქვენი მტერი და ორგული თან არ წაუტანია,—ბევრი მათგანი დარჩა და ახლა დროს ელის, რომ იქნება კიდევ როგორმე ჩაგიგდოთ თქვენ ხელში და ძველებურათ კისერზე დაგაჯდეთ.

თქვენ გგონიათ, რომ ესენი მტრულათ მოვლენ თქვენთან?

არა, ისინი ფერუმარილს წაიცხებენ, სახეს გამოიცვლიან და ტკბილის სიტყვებით, მეგობრულათ მოგევლინებიან და ისე მოგაჩვენებენ თავს, თითქოს მზე და მთვარე თქვენზედ ამოუდიოდესთ.

კარგათ იციან, რომ სიმართლით, სწორის გზით ისინი თქვენთან ვერას გახდებიან და, სადაც მათი სიმართლე ვეღარა სჭრის, იქ ისინი სიცრუითა და მოტყუებით ეცდებიან ფონს გასვლას.

თქვენმა მტრებმა და ორგულებმა იციან, რომ თქვენს ხელთ დღეს მეტად ბასრი იარაღია და ყოველგვარ ღონეს ილონებენ, რომ ეს იარაღი დააჩლუნგონ, მას ბასრი კბილები ჩაგდებინონ, ამგვარის ხერხით მოგატყუონ, მოგალორონ და თავისი გაიტანონ.

თქვენ გაოცებული მეკითხებით, რა იარაღია ეს იარაღი,—ჩვენი იარაღი ცული, ნამგალი და თოხიაო. მართალია, მართალი, მაგრამ თქვენ კიდევ გაქვთ ერთი დიდი და უდიდესი იარაღი, რომელსაც ვერც თქვენი ცული შეედრება, ვერც თქვენი ნამგალი თავისი სიბასრით.

ეს იარაღი მოგიპოვეთ და ჩაგაბარათ, დაგიმტკიცათ მუშებისა და გლეხების მოჭირნახულემ, მუშებისა და გლეხების პარტიამ— სოციალდემოკრატიამ. რა არის ეს იარაღი?

ეს იარაღი გახლავთ საყოველთაო საარჩევნო უფლება.

დღეს თქვენ თავისუფალი მოქალაქენი ხართ, თქვენ აღარც ნაყმევი ხართ, აღარც ბატონი გყავთ, აღარც ვისიმე მონა ხართ,—თქვენ დღეს საკუთარი თავისა და საკუთარი ქვეყნის ბატონიცა ხართ, პატრონიც. ჩვენი ხალხის დიდ უმრავლესობას თქვენ წარმოადგენთ.

ამიტომ, რასაც თქვენ გადაწყვეტთ, ის უნდა გაკეთდეს, რასაც თქვენ მოისურვებთ, ის უნდა ასრულდეს. როგორ, რა ნაირათ მოხდება ეს?

აი რა ნაირათ.

ჩვენი ქვეყნის საქმე უნდა მოაწყონ არჩეულმა კაცებმა.

ეს არჩეული კაცები შეიკრიბებიან და ამას ეწოდება—აი ამ კრებულს—დამფუძნებელი კრება.

ვინ ირჩევს ამ კაცებს?

საქართველოს ყოველი მოქალაქე, ვინც ქურდი და ავაზაკი არ არის. ამ რიგათ, მოქალაქენო, გლეხებო, არჩევის უფლება თქვენ ცა გაქვთ, თქვენს მოყვარეებსაც და თქვენს მტრებსაც.

სადაური სამართალია, ეს როგორ შეიძლება, თუ ჩვენს მტრებსაც უფლება აქვთ არჩევისაო, იტყვით, მაგრამ თუ კარგათ ჩაფიქრდებით, დაეთანხმდებით, რომ სამართალი სწორეთ შემდეგს მოითხოვს: არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ყველა სრულწლოვან მოქალაქეს უნდა ჰქონდეს, რანაირი აზრისა და მიმართულებისაც უნდა იყოს ის. მარტო თქვენთვის რომ იყოს ესა თუ ის უფლება და იმათთვის კი არა, ვინც შენთან სამეგობროთ არ მოდის, ეს უსამართლობა იქნებოდა.

აი ამგვარ უსამართლობას სჩადიოდნენ მეფე და მისი მთავრობა, როცა უფლებებს მდიდრებსა და თავადებს აძლევდნენ, გლეხებს კი არა.

მერე რა ვუყოთ, რომ საარჩევნო უფლება თქვენს მტრებსაც ექნებათ? თქვენა გგონიათ, ამით რასმე დაჰკარგავთ?

სრულებით არაფერს.

ამით მხოლოდ მოიგებთ, რადგანაც თქვენს მტრებს სათქმელი, საგანგაშო აღარაფერი ექნებათ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ ქვეყანას ყურებს გამოუჭედავენ: უფლებას გვართმევენ, ძალმომრეობას სჩადიან, თორემ ბურთი და მოედანი ჩვენიაო.

აკი გითხარით,—უმრავლესობას თქვენ წარმოადგენთ, დიდ უმრავლესობას და თქვენი დამარცხება კენჭით არავითარ მტერს არ შეუძლია, მაგრამ იცით, რა არის ამისათვის საჭირო?

სიფხიზლე და დიდი სიყვარული იმ საქმისა, რომელსაც თქვენ ემსახურებით.

თქვენი საქმე თქვენვე უნდა გააკეთოთ, არ უნდა დაჰკარგოთ არც ერთი ხმა, არც ერთი კენჭი, სნეული და დავრდომილი თუ იქნება ვინმე თქვენ შორის, იმასაც კი უნდა შეუდგეთ მხრებში და არჩევნების დღეს საარჩევნო ყუთებთან მიიყვანოთ.

რატომ არის ეს საჭირო?

აი, რატომ არის.

დამფუძნებელი კრების არჩევნები ნამდვილი ბრძოლაა: ერთ მხარეზე იქნებით თქვენ და ყველა მუშები, მშრომელები,—მეორე მხარეზე ყველა თქვენი მტრები და მოწინააღმდეგენი, ყველა ისინი, ვისაც ძველი დროის დაბრუნება უნდა, ვისი მიზანიც მხოლოდ ის არის, რომ თქვენ ისევ გლეხებათ დარჩეთ და მიწები და ყოველგვარი უფლება ისევ თავადებსა და მემამულეებს დაუბრუნდეს.

მაგრამ აქ ბრძოლა სწარმოებს არა ტყვიაწამლით, არამედ კენჭებით.

თუ თქვენ გაიყვანთ იმ პირებს, რომლებსაც თქვენ ენდობით, მაშინ გამარჯვება თქვენია, მაშინ თავადები და მემამულეები სამუდამოდ უნდა გამოეთხოვონ მიწასაც, თავადობასაც, ზედმეტ უფლებებსაც.

თუ თქვენმა მტრებმა გაიყვანეს თავისი კაცები, მაშინ გამარჯვებაც მათ დარჩებათ და ეცდებიან, წაგართვან ყოველისფერი, რაც თქვენთვის ამდენის შრომით, ოფლით და სისხლით მოიპოვა სოციალდემოკრატიულმა მუშათა პარტიამ.

განა შესაძლებელია, რომ თქვენმა მტრებმა გაიმარჯვონ?

შესაძლებელია მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ თქვენ გამოიჩენთ გულგრილობას, დაუდევრობას, არჩევნების დღეს არ გამოცხადდებით, დაიზარებთ, მოიმიზეზებთ და თქვენს ხმას, თქვენს კენჭს დაუკარგავთ იმათ, ვისაც თქვენი საქმის, თქვენი ბედნიერების დაგვირგვინება უნდა.

თქვენ კარგათ უნდა იცოდეთ, რომ თქვენი მტრები მეტად გამოცდილები არიან, ისინი არ დაჰკარგავენ არც ერთ ხმას, ისინი ყველა გამოცხადდებიან, არავინ არ დააკლდება.

თქვენ თუ დააკლდით, თუ არ გამოცხადდით ყუთებთან, იმათი კაცები მეტ კენჭს მიიღებენ, თქვენი ნაკლებს და გამარჯვება იმათ დარჩებათ.

ეს იქნება თავის მოჭრა, ეს იქნება საშვილიშვილო სირცხვილი.

თქვენ ამას არ იზამთ. თქვენ არ გამოსჭრით თქვენს ცოლშვილს ყელს,—თქვენ გამოცხადდებით ყველა, როგორც ერთი კაცი და ერთხელ კიდევ დაუმტკიცებთ თქვენს მტრებს, რომ მათი ლილა სამუდამოთ გახუნებულია. იქნება ვინმე თქვენგანი გულში ფიქრობს: გვეყო ამდენი არჩევნები, თავი მოგვაწყინაო.

მოქალაქენო გლეხებო! დიდ საქმეს დიდი შრომა დიდი დევნა უნდა. საშვილიშვილო საქმე კეთდება თქვენთვის, გლეხებისათვის, ყველა მუშებისათვის და ფრთხილათ უნდა იყოთ, დაუღალავათ, მტკიცეთ უნდა ასრულებდეთ თქვენს წმინდა მოვალეობას.

ამაზედ უდიდესს, ამაზედ უკეთესს თქვენ ვერაფერს გააკეთებთ. ამაზედ ძვირფას განძს თქვენ ვერ შეიძენთ და ვერც თქვენს შვილებს დაუტოვებთ.

შორს დაქანცულობა, შორს დაუდევრობა და გულგრილობა! მე არ მითქვამს თქვენთვის, ვის უნდა მისცეთ თქვენი ხმა, ვინ უნდა აირჩიოთ.

არ მითქვამს იმიტომ, რომ თქვენ არ გჭირდებათ ამის თქმა, თქვენ ეს უჩემოთაც კარგათ იცით.

ვინ იდგა თქვენს გვერდით მუდამ ჭირსა და ლხინში?

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

ვინ ებრძოდა მუდამ თქვენს მტრებს და ვინ არ ერიდებოდა ამ ბრძოლის დროს არავითარ მსხვერპლს თავისი წრიდან—არც ციხეს, არც ციმბირს, არც კატორღას, არც სალრჩობელას?

საქართველოს ს.-დემ. მუშათა პარტია?

ვინ გადაგარჩინათ ბოლშევიკების, ოსმალებისა და სომხეთის მთავრობის ურდოებისაგან?

საქართველოს ს. დ. მუშათა პარტიამ.

ვინ ჩამოართვა თავადებსა და მემამულეებს მიწები თქვენთ, ის, ვინ გააუქმა თქვენი გლეხობა, ვინ აგამაღლათ თქვენ, ვინ მოგცათ თქვენ მოქალაქის ყველა უფლებანი. ვინ გააუქმა თავად აზნაურობის წოდება?

საქართველოს ს. დ. მუშათა პარტიამ.

მაშ რაღა მტკიცება უნდა, თქვენ ხმას მისცემთ ამ პარტიას, დამფუძნებელ კრებაში გაიყვანთ მხოლოდ ამ პარტიის სიას № 1-ს!

მოქალაქენო გლეხებო! არჩევნებზე ამ პარტიის დამარცხება თქვენი დამარცხება იქნება, რადგანაც ის თქვენთვის აკეთებს უდიდეს საქმეს, თქვენს საკეთილდღეოთ აწყობს მთელ ცხოვრებას.

მზე ჩაქრება და ეს პარტია კი არ დამარცხდება, მაგრამ თქვენთვის მარტო გამარჯვება არა კმარა,—საჭიროა ბრწყინვალე გამარჯვება.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ

შხამის და გესლის ძთესველნი

მოისპნენ, არარაობდნენ;

თქვენი საკუდლის მსურველნი

ყორნები ვეღარ ჩხაოდნენ!

საჭიროა, რომ თქვენი მტერი და ორგული, თავადებისა და ჩარჩების მომხრენი, ძველი ცხოვრების აღდგენის მოტრფიალენი, მიწების დაბრუნების მსურველნი, სასტიკათ დამარცხდნენ.

მოქალაქენო გლეხებო! ამ არჩევნებს მთელი ევროპა ადევნებს თვალყურს. იქ წასული არიან მუშათა პარტიის საუკეთესო ბელადები. იმათ განათლებულ ევროპას უნდა დაუმტკიცონ, რომ საქართველოში მხოლოდ დემოკრატია, მხოლოდ მშრომელი ხალხია ძლიერი და უძლეველი.

ნუ თუ თქვენ ამისთანა დროს იმათ უღალატებთ?

ნუ თუ თქვენ ამისთანა დროს იმათ სირცხვილში ჩააგდებთ და განათლებულ კაცობრიობის წინაშე გააწითლებთ?

არასოდეს ეს არ მოხდება!

მოქალაქენო გლეხებო! თქვენი ბედი ახლა წყდება. სირცხვილი და სამარადისო შეჩვენება მას, ვინც ასეთ დროს არ შეასრულებს თავის წმინდა მოვალეობას და თავის ხმას დაჰკარგავს, ან სხვა პარტიას მისცემს! ყველა ერთათ შემოკრბით საქართველოს ს. დ. მუშათა პარტიის გარეშემო და ერთხელ კიდევ დაუმტკიცეთ ყველას, რომ მთელი გლეხობა, როგორც ერთი კაცი მხოლოდ ს. დ. მუშათა პარტიას ენდობა და მხოლოდ ამ პარტიას გაჰყვება.

ივ. გომართელი.

---

# ბერნის სოციალისტური კონფერენცია

(საქ. დეპ. სააგ.)

ბერნის სოციალისტურ კონფერენციაზე რენოდელმა აღნიშნა, რომ გერმანელ სოციალდემოკრატებს ომის პასუხისმგებლობაში წილი უდევთ. მან წაიკითხა ანგარიში იმ შეხვედრისა, რომელიც პარიზში მოხდა 1914 წლის ივლისს გერმანიის სოც. დემოკრატიულ უმრავლესობის პარტიის დელეგატის მიულერსა და საფრანგეთის სოციალისტების ბელადთა შორის. თქვენ მოგეხსენებათ, სთქვა რენოდელმა, გერმანელების სიმხეცე. თვით ბეტმან ჰოლვეგმა აღიარა, როდესაც მან მოიყვანა ფორმულა: საჭიროებამ კანონი არ იცის. მიუხედავათ ამისა, გერმანიის სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერდნენ მთავრობას. ინტერნაციონალს ახლა მოუხდება არა გერმანელ სოციალისტებისაგან ფრანგ სოციალისტების გარჩევა, არამედ—გერმანიის სოც.-დემოკრატიულ უმრავლესობისაგან უმცირესობის გარჩევა. ბოლშევიკი რათ გახდა ლიბკნეხტი და რათ შესცდა ასე? იმიტომ, რომ მან იმედი დაჰკარგა სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობისა, რომლის ბრალიცაა ლიბკნეხტის სიკვდილი. თქვენ გაცხიათ მისი სისხლი—მიმართავს რენოდელი გერმანელ სოც.-დემოკრატებს. ინტერნაციონალმა ესეც უნდა განიხილოს.

დასასრულ რენოდელი სთხოვს ინტერნაციონალს, ან გერმანიის სოც.-დემ. უმრავლესობის პარტია ირჩიოს, ან უმცირესობა.

**ბაქოს პროლეტარიატის სალამი.**

გადაცემულია თფილისის რადიოთი ბაქოდან ბერნში გადასაცემათ. ქალაქ ბაქოს, მისი რაიონების და კასპიის ზღვის ტრანსპორტის პროლეტარიატის კონფერენცია ძმურ სალამს უძღვნის საერთაშორისო პროლეტარიატის ყრილობას, რომელიც შეიკრიბა ბერნში მუშათა ინტერნაციონალის აღსადგენათ. გვწამს, რომ კონგრესის მუშაობა აიძულებს ვერსალის კონფერენციას ყურადღება მიაქციოს მუშათა ხმას და დემოკრატიული ზავი შეკრას. ბაქოს პროლეტარიატი ყოველგვარ დახმარებას გაუწევს კონფერენციას ინტერნაციონალის აღდგენის საქმეში.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესს! გაუმარჯოს ხალხთა ძმობას! გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალურ ყრილობას.

კონფერენციის თავმჯდომარე ანდრია ჩურაევი. მდივანი იაკობ შტერინი.

---

**მოქალაქენო!**

დაშნაკცუტიუნის პარტია ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობას და მით ძირს უთხრის რევოლუციას.

არც ერთი ხმა დაშნაკცუტიუნის პარტიას.

ყველა ხმა რევოლუციისა და დემოკრატიის მეხვეურს სოციალდემოკრატიულ პარტიას № 1.

---

# უკანასკნელი ცნობები

ბათუმი. 3 თებერვალი. „გუშინ წარუდგა გუბერნატორს ბათუმს ქართველების კრების მიერ არჩეული დეპუტაცია, რომელიც მან ყურადღებით მიიღო. გუბერნატორმა სხვათა შორის გამოსთქვა სინანული, რომ მათ ჯერჯერობით ვერაფერი დახმარება გაუწევიათ მთის დობიან მცხოვრებლებისათვის, ვინაიდან აქამომდე ჯარის გადაჯგუფებას უნდებოდითო. გუბერნატორმა იმედი გამოთქვა, რომ ორი კვირის შემდეგ ექნებათ საშუალება მოიტანონ საქონელი და ამით ცოტათ მაინც დაეცამოთ იმ სიჭირეს, რომელიც ჩვენ აქ დაგვხდაო.

1 თებერვალს ვიღაც კერძოულ ოლლიმ ქალაქის თავს კაბინეტში ესროლა რევოლვერი. ქალაქის თავი უვნებლათ დარჩა. დამნაშავე დაპატიმრებულია. სროლის განზრახვა გამოურკვეველია. ნათესავების ჩვენებით ის შეშლილია.

ქალაქის საბჭომ ხმოსნებს ჯავახიშვილს და უმატს, რომლებსაც რუსების ეროვნულ საბჭოს წევრმა და ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ვექილმა რადუგინმა ხელის შეხებით შეურაცყოფა მიაყენა, სამსახურის ასრულების დროს თანაგრძნობა გამოუცხადა, რადუგინს კი ზიზღი გამოუცხადა და რუსების ეროვნულ საბჭოს მოსთხოვეს მისი უკან გაწვევა.

წარსულს პარასკევს „სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ აპირებდა სოფ. ქედში გაემართა მიტინგი, რომ ადგილობრივ მცხოვრებთათვის გაეცნო საქმეთა ვითარება და არსებული მდგომარეობა. მიტინგი არ შესდგა, რადგანაც გუბერნატორის მიერ გაგზავნილმა ინგლისელმა ოფიცრებმა უკან დააბრუნეს მიტინგზე წასული წევრები კომიტეტისა. მამედ-ბეგ აბაშიძესთან საუბარში გუბერნატორმა აღნიშნა, რომ მის ნებადაურთველად მიტინგის გამართვა აკრძალულია და რომ მან არაფერი არ იცის „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ არსებობის შესახებ. კომიტეტის წევრები ჰფიქრობენ ხელმეორედ მოიწვიონ მიტინგი გუბერნატორის ნებართვით.

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

5 თებერვალი.

**ინგლისური პრესის ცნობები.**

ბრემენის მეუმრავლესე სოციალისტების შუამავლები, რომლებიც მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ, სთხოვენ ცენტრალურ მთავრობას დაუყოვნებლივ დააბრუნონ მთავრობის მიერ გაგზავნილი გერმოტენბერგის დივიზია. გერმოტენბერგმა განაცხადა, რომ დივიზია არ შევა ბრემენში იმ შემთხვევაში, თუ ბრემენის დასახმარებლათ არ მოდის სხვა რაზმები.

დამფუძნებელ კრების გახსნის დღეს ვეიმარში მოელიან სპარტაკელთა გამოსვლას. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ვეიმარში დიდ ძალი ჯარი დააყენოს. 2 თებერვალს ბერლინში გავრცელდა ხმა, რომ სპარტაკელნი ახალ აჯანყებას ამზადებენ. ამის გამო ყველა დაწესებულებაში და რედაქციებში მთავრობის ჯარი სდგას.

სამხრეთ აფრიკის მთავრობამ ევროპაში გამგზავრება აუკრძალა გენერალ დევეტს და პეტერ კობლერს, რომლებსაც ტრანსილვანიის რესპუბლიკის სახელით სურდათ გადაეცათ ვილსონისთვის ბურების დამოუკიდებლობის მანიფესტი.

გერმანიის ცენტრალური მთავრობა, მრავალი დეპუტატი და პრუსის წარმომადგენელნი ორშაბათს 3 თებერვალს, ვეიმარში ჩავიდნენ. საგარეო საქმეთა სტატს სეკრეტარი გრაფი ბროკდორფ რანცაუ ვეიმარში გაემგზავრა 4 თებერვალს.

ვეიმარის მეციხოვნე ჯარმა განაცხადა, რომ ის ერთგულია მთავრობის და დაიცავს ეროვნულ ყრილობას.

დამოუკიდებელ სოც. დემ. გამოსვლების გამო ერფრუტში, გოტაში და აიზენახში, ვეიმარსა და ამ ადგილებს შორის 3 თებერვალს რამოდენიმე საათით შესწყდა პირდაპირი მავთულით დამოკიდებულება.

უკანასკნელ ოფიციალურ ცნობებით გერმანიის დამფუძნებელი კრების 421 დეპუტატი (ელზას ლოტარინგის გამოკლებით, სადაც არჩევნები არ მომხდარა) შემდეგ პარტიებათ დაიყო: მეუმრავლესე სოც. დემ.—163, დამოუკიდებელნი (აქ შედის გერმანიის სახალხო პარტია ბავარიაში) 75, გერმანიის სახალხო პარტია 21, ქრისტიანთა სახალხო პარტია 88, გერმანიის ეროვნული პარტია 42, ბავარიის გლეხთა კავშირი 4, განოვერის პარტია 4, ბრაუნშვეიგის ერობის კავშირი 1, და შლეზვიგ ჰოლშტეინის გლეხების და მიწის მუშა დემოკრატების 1.

**ფრანგული პრესის ცნობები**

სამშაბათს 3 საათზე ფინანსთა სამინისტროს ბინაზე კლოტცის თავმჯდომარეობით შესდგა ზარალის ანაზღაურების კომისიის სხდომა, რომელზედაც გადასწყვიტეს მთავარი სეკრეტარიატის არჩევა, შემდეგ პირთაგან: პოლკოვნიკი პილ (ინგლისელი), გრინი (შეერთებულ შტატების), დე ლასტეკრი (საფრანგეთი), და ფუბერტი (იტალია).

ლიბავიდან იუწყებიან, რომ ფინლიანდიელთა და ესტონიელთა ჯარებმა დორპატიდან სამხრეთისკენ წინ წაიწიეს და წითელ არმიელები დაამარცხეს. მათ აიღეს აგრეთვე ქ. ვალკი და ამით გზა მოუჭრეს ლიფლიანდიასა და კურლიანდიაში მომქმედ ჯარებს. ბოლშევიკებმა ქ. ვინდავა აიღეს.

მოხდა შეთანხმება ერთის მხრით არგენტინისა და მეორეს მხრით ინგლის საფრანგეთიტალიას შორის არგენტინის მოსავლის შესყიდვის შესახებ.

ბრაზილიის თხოვნით მისი ჯარის ასაღორძინებლათ საფრანგეთიდან ინსტრუქტორები იგზავნება.

**ბოლშევიკების ცნობები.**

მოსკოვი. ჩრდილოეთის ფრონტი. ვალსკის რაიონში ლატიშთა წითელმა არმიამ ლეპენგოფ-გამდეკ-საულეკისაკენ დაიხია. ვინდავის მიმართულებით ლატიშთა წითელმა არმიამ ბრძოლით დაიჭირა ვინდავა. ვინდავის დაჭერის დროს ხელთ იგდეს მოწინააღმდეგეს შტაბი, სურსათით დატვირთული გემი, ტყვიისმფრქვეველები, ყუმბარების საწყობები, ვინტოვკები და ტყვიები. სამხრეთის ფრონტი. ბოგუჩარის მიმართულებით ჩვენ ქურავკა დავიჭირეთ. ცარიცინის მიმართულებით მოწინააღმდეგე ცარიცინის სამხრეთდასავლეთით შემოტევას ეცადა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ამასთანავე ხელთ ვიგდეთ 10 ტყვიის მფრქვეველი, 500 თოფი და 230 კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ბალაშოვი. თებერ. 3, პოვორინო-ალექსიკოვო-სებრიაკოვოს რკ. გზის ხაზები დავიჭირეთ და გავამაგრეთ. მედვედიცაზე ყაზახებმა რკინის გზის ხიდი ააფეთქეს. ეკატერინოსლავი. თებერ. 2. პეტლიურას ატამანმა გრიგორიევმა, რომელიც თავრიდის ჯარს სარდლობდა, თავისი თავი საბჭოთა მთავრობის მომხრეთ გამოაცხადა. გრიგორიევმა გამოუშვა მანიფესტი მოწოდებით დაიცვან უკრაინის საბჭოთა მთავრობა. რიგა, თებერვ. 3. ლიბავიდან იუწყებიან, რომ ინგლისის გემებმა დასტოვეს ლიბავის ნავთსადგური. გამოცხადდა ლიბავაში მცხოვრებ რუსეთის არმიის ყოფილ აფიცერთა და უნტერ-აფიცერთა მობილიზაცია. მიიღეს კომისიაში გამოცხადდა 73 აფიცერი და 72 უნტერ აფიცერი. ორენბურგი. ხუთი თვის შემდეგ გუშინ შესდგა კომუნისტების მრავალ რიცხოვანი კრება აირჩიეს რუსეთის კომუნ. პარტიის კომიტეტი. მინსკი. თებერვლის 3. სრულიად ბელორუსების საბჭოთა ყრილობამ ც. ა. კომიტეტი აირჩია: 45 კომუნისტი, 2 ბუნდის პარტიის და 1 მენშევიკი. პარიზი. თებერვლის 3. ჩაიკოვსკი, ჩრდილოეთ რუსეთის „მთავრობის“ თავმჯდომარე, ჩავიდა ბერგენში, შემდეგ გაემგზავრა პარიზში საზავო კონფერენციაზე. ჩაიკოვსკის სურს გამართოს მოლაპარაკება ვილსონთან იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა მიიღონ მოკავშირეებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ. კარნაფონი. თებ. 4. მოკავშირეთა შორის მიიღწიეს წინასწარ შეთანხმებას ხალხთა ლიგის შესახებ. ლიგის შექმნას

საფუძვლათ დაედო ამერიკის შეხედულებანი. პრეზიდენტი ვილსონი იმუშავებს გეგმას მუდმივი ტრიბუნალის შესაქმნელათ, რომელსაც არბიტრაჟის ხასიათი ექნება საჭირო აპარატით, რათა შეძლება ჰქონდეს ეკონომიურ ბოიკოტით დასაჯოს ურჩი. ნაუენი, თებ. 3. შეთანხმება მოხდა ერთის მხრით გერმანიის ჯარისკაცთა საბჭოს და ბრემენის სახალხო რწმუნებულის, ხოლო მეორეს მხრით სოც. დემ. უმრავლესობის პარტიის შორის. რწმუნებულებმა თანხმობა განაცხადეს ცენტრალურ მთავრობის მოთხოვნილების თანახმათ თანამდებობიდან გადადგნენ. ბრემენის მუშები მზათ არიან მე 9 კორპუსის საბჭოს ჩააბარონ იარაღი და ყუმბარები.

# ახალი ამბები

**8 საათის სამუშაო დღე რკინის გზებზე.** საქართველოს რკინის გზების უფროსმა აცნობა რკინის გზის ყველა გამგეობებს, რომ თანახმად შრომის და გზათა სამინისტროების დადგენილებისა პირველ თებერვლიდან რკინის გზებზე შემოღებული უნდა იქნეს 8 საათის სამუშაო დღე.

◆ **ყაჩაღთა ბრბო მანგლისის რაიონში.** მანგლისის, ალღუნლისა და თრიალეთის რაიონებში ყაჩაღთა ორგანიზაცია, რამოდენიმე ასი კაცისაგან შემდგარი, შიშის ზარსა სცემს დასახელებულ რაიონების მცხოვრებთ. სამხედრო მინისტრმა მოახდინა განკარგულება, რომ ბრბო ალაგმულ იქნას.

◆ **უწესოება ნეიტრალურ ზონაში.** გუბერნიის კომისარმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ უადმინისტრაციობის გამო ნეიტრალურ ზონაში უწესოება ხდება. გუბერნიის კომისარი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრმა მოახდინოს განკარგულება, რომ ნეიტრალურ ზონაში აღდგენილ იქნას ადმინისტრაცია.

◆ **სურამში საქალაქო არჩევნებში** 2575 ამრჩევლიდან გამოცხადდა 1129 ამრჩეველი. საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიამ № 1 მიიღო 779 ხმა, გაიყვანა 14 ხმოსანი, უპარტიოებმა № 2—298 ხმა (5 ხმოსანი), ეროვნულ დემოკრატებმა № 3—53 ხმა (1 ხმოსანი).

◆ **ა. სააკიანი სპარსეთის ელჩთან.** 4 თებერვალს სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე ა. სააკიანმა ინახულა სპარსეთის ელჩი. იმავე დღეს სააკიანი ინახულეს ამერიკის მისიის წევრებმა, რომლნიც ჩამოვიდნენ ბაღდადიდან თავრიზისა და ბაქოს გზით. მათ ესაუბრეს ა. სააკიანს სომეხ ლტოლვილების მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

◆ **ლტოლვილი სომხები.** ამ დღეებში თფილისიდან ბაქოში გაემგზავრა საგანგებო მატარებელი სპარსეთის ქვეშევრდომი სომხებით.

◆ **საპყრობილეთა რევიზია.** კომისია, რომელსაც იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დავალებული აქვს რევიზია მოახდინოს თფილისის № 1 და № 2 ციხისა და ავჭალის კოლონიისა მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის, ამით აცხადებს, რომ მოქალაქეთ, რომელთაც რაიმე საბუთი აქვთ აღნიშნულ ციხეებში ბოროტ მოქმედებათა შესახებ, წარმოადგინონ აღნიშნულ კომისიაში ყოფილ მე-3 სამოქალაქო დეპარტამენტის შენობაში, ანდა მორიგე წევრთ სარევიზიო კომისიისა ვ. ა. ნეპაკოიჩიცკის და მ. ლ. როლკეს სამშაბათობით 12—1 ს. ციხეში № 1 და ხუთშაბათობით ამავე საათებში ციხეში № 2.

◆ **ლექტორთა კრება.** დღეს საღამოს 6 საათზე, სასახლეში დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტის ქართველ ლექტორთა კრება ფრიად მნიშვნელოვან საკითხების განსახილველათ.

◆ ს. ს.-დ. მ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ამხ. ევგენი ძიძიგურის ხელით სამტრედიის ს.-დ. ორგანიზაციისაგან დამფ. კრების ფონდისათვის (1000 მანეთი) ათასი მანეთი.

◆ **ახალი გაზეთი.** კანტორა „განათლებაში“ იყიდება ახალციხიდან ახლად მიღებული „განახლებული მესხეთი“.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, შესდგება მესამე რაიონის კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— შაბათს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია ქალაქის ახალი საბჭოს სოც. დემ. ხმოსნების კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ს. დ. პ. მეოთხე რაიონის ბინაზე შესდგება ამავე რაიონის კოლექტივის და საუბნო საარჩევნო კომისიის შეერთებული სხდომა.

— დღეს, საღ. 6 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია მორიგი სხდომა მეოთხე რაიონული კოლექტივისა.

— დღეს, სახელოსნო სასწავლებელში (ექზარხოსის მოედანი), შესდგება მე-6 რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრების საზოგადო კრება.

— პარასკევს, საღ. 7 ს. მეოთხე რაიონის ბიუროს ბინაზე დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ს. უჯარმა** (თფ. მაზრა). ორ თვეზე მეტია, რაც ამ სოფელში საშინელი გადამდები სენი მძვინვარებს, რომელმაც აუარებელი ხალხი იმსხვერპლა. საჭიროა დაუყონებლივ სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს სოფელს.

**ახალ-სენაკის** ვაჟთა გიმნაზიაში საჭიროა მუსიკის მასწავლებელი. პირობების გაგება შეიძლება თვით გიმნაზიაში.

— 28 იანვარს, ს. ლიკანში ბორჯომიდან 3 ვერსზე ავაზაკებმა გაცარცვეს ახალციხიდან მომავალი ებრაელები, რომელთაც წაართვეს 5,000 მანეთამდე ფული. ბოროტმოქმედნი დაიჭირა სად. მიხაილოვში ბორჯომის კომისარმა ეგ. დევიძემ.

**გორი.** 4 თებერვალს გორში ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში მოხსენება პოლიტიკურ მომენტზე წაიკითხა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა. მოხსენებას აუარებელი ხალხი დაესწრო. დარბაზში ტევა აღარ იყო. ორატორმა მდაბიო ენით გააცნო ხალხს ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა, ხალხი ხშირათ ტაშის კვრით აჯილდოვებდა და სიტყვას აწყვეტინებდა ორატორს. ორატორმა უპასუხა შეკითხვებზედაც. დასასრულ კრებამ ერთხმათ მიიღო რეზოლუცია, რომ ლითაც მთავრობას უწონებს მის ნაბიჯებს, საქართველოს რესპუბლიკის თავისუფლებისა და დემოკრატიის ინტერესების დასაცავათ, გად დჯმულს და აღუთქვამს მას ყოველნაირ დახმარებას მომავალშიაც. მინისტრმა ინახულა ერობის თვითმართველობა, ქალაქის გამგეობა, ს.-დ. კომიტეტი, კომისარიატი, ჯარის ნაწილი და ადგილობრივ გაეცნო მრავალ საკითხებს.

**მოქალაქენო!**

**ხმა მიეცით საქართველოს სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას!**

# ბრძოლა გადამდებ სენთან

**ბრძანება № 1.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მე დანიშნული ვარ რესპუბლიკის სანიტარული ნაწილისა საგანგებო რწმუნებულად. მე მექვემდებარება სანიტარული ნაწილის მხრივ ყველა უწყებები და დაწესებულებები რესპუბლიკაში. ყველა საექიმო-სასანიტარო დაწესებულებებში მოსამსახურენი მემორჩილებიან მე და ჩემს განკარგულებებს დაუყონებლივ უნდა ასრულებდენ. მაქვს მინიჭებული უფლება ეპიდემიის დროს მოვახდინო მობილიზაცია ყველა საექიმო ძალებისა, მაქვს უფლება სანიტარულ წესების დარღვევისათვის, ურჩობისა და მოვალეობის აუსრულებლობისათვის დამნაშავეთ სასჯელი დავსდო დაჯარიმებით, სამსახურიდან დათხოვნით, ციხეში დაპატიმრებით.

საქართველოს რესპუბლიკის სანიტარული ნაწილის საგანგებო რწმუნებული დოქტორი მედიცინისა გოპაძე.

# მთავრობაში

საქართველოს დამოუკიდებლობის დღემდე, ესე. იგი 1918 წლის 26 მაისამდე სასამართლოს დაწესებულებებში დაწყებული ყველა საქმეები, როგორც ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის საჩივარით, ისე მის მის წინააღმდეგ, აგრეთვე ზემოხსენებულის რკინის გზის გამგეობის ყველა საქმე, რომელიც ფულის გადახდევინებას შეეხება,—შეჩერებულ იქნას იმ დრომდე, ვიდრე ამის შესახებ ცალკე განკარგულება გამოიცემოდეს.

შეჩერებულ იქნას სასამართლო დაწესებულებებში წარმოებული საქართველოს რკინის გზის გამგეობის წინააღმდეგ ყველა საქმეები, რომელიც დამყარებულია 1918 წ. 26 მაისამდე მომხდარ ამბებზე; აგრეთვე შეჩერდეს ამგვარივე საქმეებიდან წარმომდგარი ფულის გადახდევინება.

—

გადიდებულ იქნას რკინის გზაზე სამგზავრო და საბარგო მატარებლის ყველა ტარიფები. გაუქმებულ იქნას ყველა შეღავათიანი ტარიფები. ეს კანონ პროექტი წარედგინოს პარლამენტს განსახილველათ.

# სავალდებულო დადგენილება

აკრძალულია: 1) ბოროტგანზრახვით ფასების გადიდება სურსათისა და პირველი საჭიროების საგნებზე, აგრეთვე ბოროტ განზრახვით ამ საგნების ვაჭრობის შემოკლება.

2) მუშაობის შეწყვეტა ისეთ დაწესებულებებსა და სამრეწველოებში, რომელთა მოქმედება საზოგადო კეთილ დღეობის და წესრიგისთვის აუცილებლად საჭიროა.

3) დაზიანება განათების, გზების და საზოგადო დაწესებულებებში, აგრეთვე გაფუჭება გზებისა და მიმოსვლის საშუალებათა, როგორც მაგალითად ქუჩების, გზა-ტკეცილების, ტრამვაის, საზოგადო სახმარ ეტლების და სხვა. აგრეთვე ამათი სარგებლობის ბოროტ განზრახვით შეფერხება.

4) შეუსრულებლობა მილიციის განკარგულების ა) შესახებ სამეურნეო პროდუქტებისა და პირველი საჭიროების საგნების ქ. თფილისში შეუმოწმებლათ შემოზიდვის უზრუნველყოფისა და აგრეთვე ამ საგნების ჩარჩებისაგან წინასწარ შესყიდვისა და მით მომხმარებელთა განზე დატოვების თავიდან აცილებისა. ბ) შესახებ საზოგადოებრივი ცხოვრების სწორი მიმდინარეობისა და მშვიდობიანობისთვის საჭირო წესრიგის დაცვისა.

დემონსტრატიული თავხედური გამოსვლება სახელმწიფო თანამდებობის პირთა და მილიციის მოხელეთა წინააღმდეგ.

ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევის ანუ შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებით 1 ნახ. წლამდე და დაჯარიმებით 10,000 მანეთამდე. სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოცხადებისა. 3 თებერვალი.

გენ.-გუბერნატორი შ. მაღლაკელიძე.

# დამფუძნებელი კრების გარშემო

**ყვირილა.** ქ-ლაქ ყვირილის მოქალაქეთა მუშათა და გლეხთა, კლდეეთის და საჩხერის საზოგადოების ფართო ყრილობამ 4 თებერვალს მოისმინა რა მოხსენება ი. გომართელის და რ. ჩხეიძის მიმდინარე მომენტის და დამფუძნებელი კრების შესახებ, დაადგინა: მხურვალე მონაწილეობა მიიღოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, მთელი თავისი ძალღონით მხარი დაუჭიროს მუშების, გლეხების და ყველა მშრომელთა მედგარ დამცველს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას და აღგენს ამ პარტიის დროშის ქვეშ გამოვიდეს და ყველამ ხმა მისცეს მხოლოდ ამ პარტიას № 1-ს.

მიტინგის თავმჯდომარე ვლ. არეშიძე.

# სალამი მთავრობას

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ნ. ჟორდანიას ბათუმის ქართველ საზოგადოებისაგან შემდეგი მისალმება მოუვიდა: „ბათუმის ქართველ საზოგადოების კრება, რომელიც შესდგა 26 იანვარს ამა 1919 წელს ქ. ბათუმში, მხურვალე სალამს გიგზავნის თქვენ, მთელი საქართველოს სათაყვანებელო მეთაურო და თქვენი სახით საქართველოს მთავრობას; გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ უმშვენიერესი ქალაქი საქართველოსი ბათუმი და მთელი სამაჰმადიანო საქართველო, როგორც განუყოფელი ნაწილი საქართველოსი, მალე დაუბრუნდება თავის დედა-სამშობლოს საქართველოს. იცოცხლეთ მრავალ ჟამიერ საქართველოს საკეთილდღეოდ.

კრების თავმჯდომარე ნ. ჯაყელი.

**მოქალაქენო!**

თმიანობის ხანაში თითქმის მთელი ქვეყანა დაიმშა. კერძოთ რუსეთში შიმშილმა დიდძალი ხალხი იმსხვერპლა. სოციალდემოკრატიამ იხსნა საქართველოს მცხოვრებნი დამშევისაგან.

**ხმა მიეცით სოც. დემოკრატიის სიას № 1.**

# საადგილ-მამულო რეფორმა

**ახალციხის მაზრაში** მიწად-მოქმედების მინისტრის განკარგულებით გაიგზავნა ორი მიმღები კომისია. როგორც სამინისტროს რწმუნებული იტყობინება, კომისიებს უკვე დაუწყიათ მსხვილი მემამულეების მიწების მიღება.

**სოხუმის ოლქში** მუშაობს ექვსი მიმღები კომისია. მათ მიწების მიღება დაიწყეს დეკემბრიდან. დღემდე მოსული ცნობებით კომისიებს ოცი ათას დესეტინამდე მიწები მიუღიათ ფონდში.

**ზუგდიდის მაზრაში.** ბოლშევიკებისაგან გამოწვეული ანარქიული მოძრაობის გამო მიმღები კომისიების მუშაობა შეწყვეტილი იყო. ამ ჟამად მაზრაში გაგზავნილია სამი მიმღები კომისია.

**თელავის სამაზრო ერობის** გამგეობა შუამდგომლობს მიწად მოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა ფონდში გადასული ყველა ვენახები დასამუშავებლად გადაეცეს ერობას.

# „განახლებული მესხეთი“

მივიღეთ გაზეთ „განახლებული მესხეთის“ პირველი ნომერი, 2 თებერვლის თარიღით.

ეს გაზეთი გამოდის ახალციხეში და ითვლება ახალციხის მაზრის მიწის მუშათა ორგანოთ. გაზეთის სამი გვერდი დაბეჭდილია ქართულად, მეოთხე—თურქულად.

წერილში 1219—1919 წ. მოთხრობილია მესხეთის საქართველოს გულიდან მოგლეჯის ისტორია. წერილი ასე ბოლოვდება: „700 წ. გვაშორებს დიდი მესხეთის ბრწყინვალე ხანას, მაგრამ მომავალი ბრძოლა თავისუფლებისათვის და კულტურისათვის აღადგენს ახალ მესხეთს ახალ კულტურას, მშრომელი ხალხი თვით დაეპატრონება თავის ცხოვრებას“.

გაზეთში მოთავსებულია ჰაიდარ აბაშიძის წერილი—„სამუსლიმანო საქართველოს მშრომელი ხალხის მიმართ“. საერთოდ გაზეთი შინაარსის მხრით საინტერესოდაა შედგენილი და გარეგნულადაც ლამაზი გამოცემაა. ვუსურვებთ წარმატებას.

# იუსტიციის სამინისტროში

**სიღნაღის სამომრიგებლო ოლქში.** სიღნაღის სამომრიგებლო ოლქის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ერობათა მიერ არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ ქიზიყის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, ყოფილი უფროსი იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის პირველ (საერთო) განყოფილებისა შ. გ. ტატიშვილი.

**საპყრობილეთა ნაწილის რევიზია.** იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით, დაინიშნა რევიზია ტფილისის საპყრობილეთა ინსპექციისა და ტფილისის საპყრობილეებისა. რევიზიის წარმოება დაევალა ტფილისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგს ალ. ანტ. კარასიოვს. ამავ დროს სამინისტრომ მიმართა თხოვნით სახელმწიფო კონტროლიორს, რათა მანაც დაენიშნა თავისი წარმომადგენელი რევიზიაში მონაწილეობის მისაღებათ. სახელმწიფო კონტროლიორმა თავის წარმომადგენლათ რევიზიაში დანიშნა უფროსი კონტროლიორი როლკე.

**სენატის დებულება.** საქართველოს სენატის დებულება, რომელიც საბოლოვოდ იქნა შემუშავებული ამისთვის საგანგებოდ დანიშნულ კომისიის მიერ, ამ ჟამად ქართულად ითარგმნება (რადგან კომისიაში რუსებიც მონაწილეობდნენ, დებულება რუსულად იქმნა შედგენილი) და უახლოვეს დღეებში წარედგინება მთავრობას. შემდეგ დებულების პროექტი დამფუძნებელ კრებას წარედგინება განსახილველად.

**კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული.** დაიბეჭდა და დაეგზავნა მთავრობის დაწესებულებათ იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებულ საკოდიფიკაციო განყოფილების მიერ გამოცემული პირველი ნომერი „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულისა“, რომელიც შემდეგში დროგამოშვებით გამოვა, როგორც მთავრობის ოფიციალი ორგანო, სადაც უნდა იბეჭდებოდეს ყველა კანონები და რესპუბლიკის მთავრობის ზოგადის ხასიათის განკარგულებანი.

# პოლიტიკური პარტიები თუ პოლიტიკური შანტაჟისტები?

(წერილი ზუგდიდიდან).

მოახლოვდა დამფ. კრების არჩევნები და ამოძრავდნენ ადგილობრივ მოქმედნი პარტიებიც. კარდაკარ დადიან ხალხში და აცნობენ... როგორ ფიქრობ მკითხველო, აცნობენ თავის თავს, თავის პროგრამას? არა. თავის თავს და პროგრამას მალავენ, მალავენ თავის სახეს, მხოლოდ აძაგებენ სოც.-დემოკრატიას. ერთი მეორეს ეჯიბრებიან ამ პარტიის შესახებ ჭორების გავრცელებაში, ცდილობენ დაარწმუნონ გლეხობა, რომ ეს პარტია მეგობარი კი არა, მტერია ხალხის. რა ბოროტება გინდათ, რომ ის სოც. დემოკრატების საქმეთ არ გამოაცხადონ, სოც.-დემოკრატიას თურმე ისე უყვარს ხალხის ტანჯვა, რომ გადასახადებიც კი დააწესა, მაშინ, როცა „მანქანები ხელთა აქვს და შეუძლია რამდენიც უნდა ფული, იმდენი მოჭრას“. და კი არ იფიქროთ ამას ამბობდეს გულუბრყვილოები უვიცობით, არა, ამ აზრს ინტელიგენტებიავრცელებენ. ამავე დროს, რასაკვირველია, თავის პარტიას სახავს ხალხის ღმერთათ, რომელიც თურმე ცდილობს ხალხი გაამდიდროს, მაგრამ სოც.-დემოკრატები არ ანებებენ.

ამის გამო სოც. დემოკრატები იძულებულნი არიან თვით გაავრცელონ სამეგრელოში არა მარტო თავისი, სხვა პარტიის პროგრამები და გაზეთებიც, მაგრამ აქაური მოწინააღმდეგეები ამ შემთხვევაშიაც გამოსავალს ნახულობენ: „ეგ თითონ დაუბეჭდიათ სოც.-დემოკრატებს, ჩვენი არაა“ ო.

აკვირდები ყველა ამას და ფიქრობ: რაა ეს? პოლიტიკური პარტიები თუ პოლიტიკური შანტაჟისტები?

ყველას, რასაკვირველია, აჯობებს ამ საქმეში „ეროვნულ-დემოკრატიული“ პარტია. ის არ დაჯერდა ზეპირათ გავრცელებულ ჭორებს და ამ დღეებში ფურცლებიც დაარიგა. ამ ფურცლებში ის თავს აიმედებს, რომ სოციალისტები ხალხის მიერ კი არა, გაველურებულ რუსის სალდათების მიერ გაბატონდნენ არეულობის დროსო, მაგრამ ალბათ ეს ცოტა იმედია და ამიტომ ასმენს ხალხთან: „ხუთასი მილიონი მანეთი ფულათ აიღეს და თქვენ გადაგხდებათ“, უშველეთ თავსაო: „ეროვნულ დემოკრატები თხოულობდენ, რომ უმიწაწყლო და მცირე მიწიან გლეხებისთვის გადაეცა მთავრობას ის მიწები, რომელიც მსხვილ მემამულეებს ჩამოერთვა, მაგრამ სოციალისტებმა თავის მიწები თავის ხელში დაიტოვეს, თავის კომიტეტებს გადაცეს“-ო; აშინებენ ხალხს, „ასე თუ გაგრძელდა ქვეყანა დაიღუპება, ხალხი დაიმ[...], გ[...]ლატაკდება“-ო. ხომ ხედავთ ცხლაც [...] ამბავია „ყველაფერი სისხლის ფასათ“ [...]სო ასმენენ ხალხს ეს სპეკულიანტები და ალბათ ფიქრობენ: მეგრელი გლეხები ვერ მიხვდებიან, რომ ჩვენგან ჩადენილ ბოროტებას სოციალისტებს ვაბრალითო. ბოლოს დაიმედებული, რომ მეგრელები მათ გაზეთ „საქართველო“-ში ვერ წაიკითხავდენ იმ წერილს, სადაც ეროვნულ-დემოკრატები ალტაცებას გამოსთქვამდენ იმის გამო, რომ ჩვენმა მთავრობამ ყოველ მხრივ ბრწყინვალეთ გაიმარჯვა სომხებთან ომში და ატყუებენ, რომ სოციალისტურმა მთავრობამ „საქართველო ვერ დაიცვა; საქართველო სომხებს დაამარცხებინა; ისეთი სირცხვილი შეამთხვია, რომლის მგზავსი წარსულშიაც არ უნახავს“-ო და სხვა.

და ავსებს ასე გრძელ ფურცელს „ერ.-დემოკრატიული“ პარტია ჭორებით და „დანოსებით“ და იცის კარგათ, რომ ეს ფურცელი შავრაზმულზე შავრაზმულია; რომ ეს ფურცელი სასირცხვილოა თვით შავრაზმელებისთვისაც; რომ ეს ფურცელი სახიფათოცაა, ვინაიდან დამფ. კრების საარჩევნო დებულების 95 მუხლში სწერია: „ვინც განზრახ ყალბ ცნობას გამოაქვეყნებს კანდიდატის პიროვნებისა ან მის კერძო ცხოვრებისას იმ მიზნით, რომ ნდობა დაუკარგოს მას ან მის მიერ წარმოდგენილ ორგანიზაციას,—დაისჯება ციხეში ჩამწყვდევით ან დაჭერით“, იციან ეს და ალბათ ამიტომაა, რომ ფურცელი ხელმოუწერელია, მასზედ არაა აღნიშნული არც ის, თუ პარტიის რომელი კომიტეტის გამოცემაა, არც ის თუ რომელ ქალაქსა და ვის სტამბაში დაიბეჭდა (ალბათ კომიტეტს არ მიაგნონო). რაა ეს: პოლიტიკური პარტია თუ პოლიტიკური შანტაჟი?

ვერცხლის წყალი.

**მოქალაქენო!**

ქართველი ნაციონალ დემოკრატები რეაქციას ემსახურებიან და მემამულეთა ინტერესებს იცავენ.

**ხმა მიეცით მემამულეთა პარტიის წინააღმდეგ.**

**ხმა მიეცით სოც. დემოკრატიის სიას № 1.**

# სამტრედიის საქალაქო არჩევნები

**სამტრედიის ქალაქის საბჭოს არჩევნები მოხდება კვირას, 9 თებერვალს, საქართველოს სოც. დემ. პარტია გამოდის სია № 1.**

კანდიდატებათ დასახელებულია: 1) ილია ივანეს ძე კოპალეიშვილი, 2) გიორგი ივანეს ძე დუნდუა, 3) ვლადიმერ თადეოზის ძე პაპავა, 4) დავით მელქისედეკის ძე მიქელაძე, 5) არსენ პეტრეს ძე ახობაძე, 6) რაჟდენ გიორგის ძე მიქაძე, 7) ივანე გიორგის ძე კიკაბიძე, 8) პავლე ლუკას ძე წულაია, 9) ერასტი ლეონტის ძე არდიშვილი, 10) მოსე გლახუას ძე ბერძენიშვილი, 11) ილია ვენტეს ძე ჯაში, 12) რაჟდენ ქრისტეფორეს ძე აბულაძე, 13) სერგო გაბრიელის ძე ნინუა, 14) ალექსანდრე ნესტორის ძე კორძაია, 15) გიგო სტეფანეს ძე შენგელია, 16) ალექსანდრე დავითის ძე დეკაძე, 17) თედორე ზაალის ძე კილაძე, 18) კოსტა თომას ძე ჩაჩუა, 19) კალია ნიკოლოზის ძე ნიკურაძე, 20) გიორგი ალექსის ძე შანიძე.

—

**სამტრედიის ს.-დ. მ. პარტიული ორგანიზაციების საყურადღებოთ.**

ამხანაგებო! დააჩქარეთ დამფუძნებელი კრების საარჩევნო ფონდის ფულის მოკრება და წარმოადგინეთ კომიტეტში.

ს.-დ. რაიონული კომიტეტის ბიურო.

# ბრძოლა ფოცხოვთან

„ვგონებ ძველი მესხეთის არც ერთი გოჯი მიწა არ არის სისხლით მოურწყველი, განსაკუთრებით ის მიდამოები, სადაც 30 იანვარს მოხდა დიდი ბრძოლა ისტორიულად მუდმივი ომის, სისხლის ღვრის და დამარცხება გამარჯვების ადგილებია. აქ საქართველოს გასაღები კარებია. დაეცემა ახალციხე-ოწყური და ამით მუდამ შიშის ქვეშ იქნება შიდა ქართლი... ისტორიულად, ვისაც მესხეთი ეპყრა ხელთ, ის იყო მესაჭე ქართლისა და ყოველი მხრიდან რკალით შემორტყმული თფილისი არა ერთხელ გაუხდიათ იძულებული ქედი მოეხარა უცხო ძალის წინაშე.

ამას კარგათ გრძნობდა ის ახალგაზრდობა, რომელნიც 30 იანვარს ეკვეთა ფოცხოვიდან მოზღვავებულ მტერს და ბევრმა, ბევრმა ჭაბუკმა თავისი სიცოცხლე შესწირა ამ ისტორიულ ბრძოლას.

„მკითხველო, შენ არ იცი სად ხდება ეს ბრძოლა, როგორია ეს მიდამოები. იქნებ

ოდესმე მოხვიდე აქ და გაიხსენო ბრძოლაში დაღუპულები, გაიხსენე ჩვენი გზაც, ჩვენი სისხლით შეღებილი მიდამოები და ამბავი, რომელსაც მე მოგითხრობ:

„ჩვენი ჯარი ხუთი ექვსი დღის წინათ დაბანაკდა ქვაბლიანის მიდამოებში. თვალწარმტაცი მიდამოებია თოვლით თავ წახვეული კორდები, ყინულით დაფენილი ფერდობები და თოვლისაგან თეთრათ წავარცხნილი ნაძვნარები, თითქო ქაღარა მოხუცი სდგანან და მათ კი ეთამაშება მზე, რომელიც ათას ფერადებით ხატავს მიდამოებს. გგონია, რომ სინემატოგრაფში ხარ და შენ თვალწინ კი ეკრანზე მიფრინავს დაუსრულებელი სურათები უცხო ბუნებისა, რომლის ყოველ ხაზში ხედავ თავისებურ სილამაზეს. ამ ბუნებაში კი აქა იქ გამოიყურებიან კოშკები ძველ მებრძოლთა. ეს ციხეების ნანგრევებია. ათასი ლეგენდებია შექმნილი ხალხში ყოველ მათგანზე, მარა ყოველ მათგანს აწერიეს თითქმის მარტო თამარს. ვინ იცის ამ ნანგრევთა შორის რამდენი ქაჯუკთა ძვლებია, რამდენი სიცოცხლე დამქნარა მის დასაპყრობათ!..

„ყოველი ჯარისკაცი დაინტერესებულია ამ მისთვის უცხო, მარა მშობლიურ მხარით. ქართული სოფლები, დარბაისლური ქართული ენა და ზნე ჩვეულებები ძალა უნებურათ გიზიდავენ ყოველ მიწურ ქოხში და თითქო დიდი ხნის უნახველი მამა შვილნი სალამით და ხარხარით ხვდებიან ერთმანეთს.

„ფოცხოვის რაიონში დიდიხანია თავს იყრიდნენ ოსმალთა აფიცრების ხელმძღვანელობით არტაანის ოლქის მუსლიმანები. მათ შორის მრავალია ასკერები, რომელნიც სამშობლოში არ ბრუნდებიან. როცა ოსმალეთმა ახალციხე-ახალქალაქი დასცალა, ხალხში აუარებელი მოსყიდული პირები და იარაღი დასტოვა. ამბობენ, რომ ოსმალეთის სარდლები ფულსაც ბლომათ უგზავნიდნენ თავის აგენტებს ახალციხეში. მათ იმედი ქონდათ, რომ შინ ხალხს აგვიჯანყებდნენ და ამით ისარგებლებდნენ. რა კი ეს ვერ შესძლეს, მიმართეს ისევ თავდასხმის საშუალებას. პირველად გადმოლახეს ხაზღვრები და სანაპირო რაზმი ამოგვიხოცეს. გაბრაზებული ჯარის გვეშინოდა მაშინ ჯავრი არ ეყარათ მცხოვრებლებზე. მაგრამ შეგნებამ სძლია გრძნობას. გვინდოდა საქმის მშვიდობიანათ მოგვარება. ჩვენს მთავრობას ხომ არავითარი აგრესიული მიზნები არ ქონებია აქ, არც გვიფიქრია ბრძოლით არტაანის ოლქის დაჭერა. მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. 30 იანვარს მტერმა ისევ იწყო შემოტევა. მოთმინების ფიალა აივსო. განა შეიძლება მეტი მოითმინო, როცა თავს გესხმიან და შენს ოჯახში მოიჭრებიან ისინი, ვინც საუკუნოების განმავლობაში აოხრებდა ამ კუთხეს.

„ცეცხლით აენთო თვალები ჯარის კაცებს. პირველად ეკვეთა მტერს ქართული ლეგიონი. თითქო ქეიფში მიდიოდენ, მიიჭრებოდენ ბრძოლაში ანწლის ტანის ყმაწვილები და შეაკვდენ მტერს. აჭარელი, ბორჩალელი მუსლიმანი და ქართველები, ყველანი ერთგულათ მიიწევდენ მტრის წინააღმდეგ და ერთხელაც არ შეშდრკალან ურიცხვი მტრის წინაშე. ბევრი დაეცა აქ უსულოთ, ბევრს დაეჭკნა მომღიმარ ტუჩებზე სამშობლოს სიყვარული და იმ მიდამოებში, სადაც გუშინ შეხაროდენ მომავალს და მესხეთის აღდგენაზე ფიქრობდენ, დღეს გაეჭრათ ცივი საფლავი. ვინ იცის რამდენი მებრძოლი მარხია, აი ამ საფლავთა ქვეშ, რომელთაც ჯერ პირიც არ წაშრობიათ და სისხლით ელებული გამოიყურებიან

აი დაჭრილები, 18—19 წლის ჭაბუკები, სისხლშია გასვრილი მებრძოლები, მარა არც ერთი მათგანი არ უცქერის ჭრილობას, არამედ—გაჰყურებენ ბრძოლის ველს, სადაც ცეცხლი ენთო და დარჩენილი მებრძოლები განაგრძობდენ ერთხელ არჩეულ გზას.

მტერს შეაკვდა ლეგიონი, ყველა მისი აფიცრები, ორის გარდა, ბრძოლაში დაეცნენ. დამსხვრეული რაზმი თავს იყრიდა და მტრისთვის კი მაინც ერთი ციდა მიწა არ დაუნებებია. სახელი და დიდება დაღუპულ ამხანაგებს, რომლებმაც აქ ძველ მესხეთში თავისი სისხლით საძირკველი ჩაუყარეს განახლებულ საქართველოს გამტკიცებას.

„ობოლი საფლავები თავდადებულ მებრძოლთა მოუთხრობენ მომავალს მესხეთის ტრაგედიას და მისი განახლებისთვის თავდადებულთ თავის გულში საუკუნო ძეგლს აუგებენ.

—

ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭომ 30 იანვრის სხდომაზე იმსჯელა ფოცხოვში მომხდარ ამბების შესახებ, რაც მიაჩნია ხალხის მტრების, შავრაზმელების მიერ მოწყობილ ავანტიურათ და დაადგინა: „დაევალოს საბჭოს თითეულ წევრს ფართო აგიტაცია გასწიოს ხალხში, რომ არავინ აჰყვეს პროვოკატორების, ჭირიკანების მიერ გავრცელებულ ცრუ ხმებს და დაიცვან ყველგან წესიერება და სიმშვიდე, რათა საქართველოს, ხალხის ინტერესების დამცველ მთავრობასთან ერთად დავამყაროთ სრული სიმშვიდე და ქართველ მუსლიმანთა, ქართველ ქრისტიანთა და საერთოდ ყველა ერთა შორის სრული ერთობა და ძმური სიყვარული".

„გან. მესხ.".

# ს.-დემ. პარტიაში

**ТФИЛИСИ.** ც. კ—ტის მოხსენება გაუკეთა სამურზაყანოისა და სოხუმის ოლქის შესახებ ლ. დოლიძეიამ და სთხოვა დახმარება ამ ადგილებში კულტურული და პარტიული მუშაობის გასაძლიერებლათ.

—

**ტფილისი.** 29 იანვარს ავლაბარის კლუბში შემდგარმა მრავალ-რიცხოვანმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. აბდუშელიშვილის და ხართიშვილის თფილისის საბჭოს არჩევნებზე და მიმდინარე მომენტზე, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ვღებთ რა მხედველობაში დღევანდელ პოლიტიკურ მომენტს, ჩვენ სავსებით მხარს ვუჭერთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, რადგანაც მან სწორი ხელმძღვანელობა გაუწია საქართველოს დემოკრატიას, გადაარჩინა საქართველო გარეშე და შინაურ მტრებისაგან, შეინარჩუნა და განამტკიცა დიდი რევოლიუციის მიერ მონაპოვარი თავისუფლებანი, ის ერთგულ დარაჯად უდგას დემოკრატიის ინტერესებს და აშენებს საქართველოს დემოკრატიულ პრინციპზე.

—

**ტფილისი.** 30 იანვარს სიო ქლენტის თავმჯდომარეობით შესდგა მესამე რაიონის კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) კოლექტივის მუშაობა, 2) კოლექტივებიდგან ერთი მეორისგან გადმორიცხვა. პირველი კითხვის შესახებ კოლექტივმა დაადგინა შემდეგი: რომ უფრო ცოცხალი მუშაობა გაჩაღდეს ამ რაიონში, ამიტომ მოწვეული უნდა იქნეს არაჩვეულებრივი კრება—ადგილობრივ მცხოვრებთა ენერგიული მუშებისა. მეორე კითხვის შესახებ კოლექტივმა დაადგინა: საჭირო არის, რომ წევრმა თავის კოლექტივიდან მოიტანოს მოწმობა, რომ მას სურს გადმორიცხვა ამა თუ იმ კოლექტივში.

# მუშათა შორის

**ტფილისი.** ჩვენი ფოსტა-ტელეგრაფის საქმე ვერ იქნა და წესიერად ვერ მოეწყო. გაზეთებში თუ კერძოთ ლაპარაკში ყველგან გაიგონებთ, რომ ფოსტალიონები დროზე არ არიგებენ წერილებს, დეპეშებს დაგვიანებით იღებენ მცხოვრებნი და ხშირად სრულიად დამახინჯებულსაც და სხვ. საზოგადოება ამ არა ნორმალურ მდგომარეობის მიზეზად სთვლის მოსამსახურეთა მიერ არა კეთილ-სინდისიერად მოვალეობის აღსრულებას. საქმე კი შემდეგში მდგომარეობს: წინათ ქალ. თფილისი 80 რაიონად იყო დაყოფილი, თითო რაიონს საკუთარი ფოსტალიონი ჰყავდა მიჩენილი. წინათ ფოსტალიონებს უხდებოდათ დიდძალი წერილების და რუსეთის ჟურნალ-გაზეთების დარიგება, ეხლა, როდესაც არ არსებობს წესიერი მიმოსვლა სხვა ქვეყნებთან წერილებიც საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ დარიგება წერილების ყველა რაიონში მაინც საჭიროა და აი 80 ფოსტალიონიდან ჯერ იყო და ნაციონალიზაციის მოლოდინში 36 გაანება თავი სამსახურს და მთელ ქალაქში წერილების დარიგება დაეკისრა 44 კაცს. ამავე დროს გადაწყდა შტატების შემცირება და რამდენიმე ფოსტალიონი ქალი დათხოვნილ იყვნენ სამსახურიდან. 36 კაცს დააწვა კისერზე უშველებელ ქალაქში წერილების დარიგება. ადიძრა შუამდგომლობა ოლქის უფროსის წინაშე დამატებითი შტატების შესახებ, რაც შეწყნარებულ იქნა, მაგრამ ეს ახალი ფოსტალიონები ჯერ ერთი გამოუცდელები არიან და მეორეც აწებებენ თავს ფოსტალიონობას ქალაქში და მოითხოვენ პროვინციაში გადაყვანას, რადგანაც დარწმუნდნენ, რომ ოთხასი მანეთით თავს ვერ ირჩენს ქალაქში ადამიანი. ამ ჟამად თფილისში 43 ფოსტალ. თითო კაცი ორ უბანს ემსახურება. მხედველობაში არის მისაღები ისიც, რომ წინეთ ქალაქგარეთ, როგორც მაგალითად კრწანისში, ვაკეში, საბურთალოში ფოსტალიონებს წერილები ცხენებით დაქონდათ, ეხლა კი ფეხით უხდებათ ამსიშორეთ სიარული, რაიც, რასაკვირველია, აფ რხებს საქმეს. წერილების დაგვიანებითი დარიგება მარტო მოსამსახურეთა სიმცირით და ზოგიერთ შემთხვევაში დაუდევრობით არ აიხსნება. თფილისში ბევრი ახალი დაწესებულებაა, რომლის მისამართებიც ფოსტაში ხშირად არ იციან და არც თუ დაწესებულებები ცდილობენ შეატყობინონ ფოსტას თავიანთი მისამართები. ხშირად მოდის წერილები, რაზედაც მარტო გვარია აღნიშნული ამა თუ იმ პირის, არც მისი სამსახურია მოხსენებული და არც ქუჩა წერილის ავტორის ბინისა. საილუსტრაციოთ დავასახელებ სამ წერილს, ერთი ლანჩხუთიდან იყო გამოგზავნილი შემდეგი წარწერით: თფილისი, იზმაილოვის ქუჩა № 14, სხვა არაფერი არც სახელი და არც გვარი წერილის პატრონის. მეორე წერილზე ეწერა მხოლოდ თფილისი, მესამე წერილზე არავითარი წარწერა არ იყო. სწორედ ჩიხოვის პატარა ვანიას წააგვანან ამ წერილების გამომგზავნნი. ბავშვს თუ ეგონა, რომ მის ბიძას ყველა იცნობდა ისე ზოგიერთ მცხოვრებთაგანი წერენ წერილს მხოლოდ თფილისი ან ერთ რაიმე სახელს და გონიათ, რომ, თუ წერილი დროზე არ მოუვიდათ, ამაში ბრალი მხოლოდ ფოსტალიონისა არისო. როგორც დავინახეთ, მარტო ფოსტალიონების დაუდევრობით არ აიხსნება წერილების დაგვიანება და ამაში ბრალი თვით საზოგადოებასაც მიუძღვის. ფოსტის მმართველმა მიიღო სათანადო ზომები ამ უწყებაში არა ნორმალურ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად და იმედია სულ მოკლე ხანში საქმე სასურველ დონეზე დადგება.

ა. ბ.

—

**ტფილისი.** 1 თებერვალს საქარ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის მეოთხე რაიონული კოლექტივის ხელმძღვანელობით შესდგა სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციის მუშა მოსამსახურეთა და იმ დროს ყარაულში მყოფ პირველი რაიონის ამხ. გვარდიელების შეერთებული საზოგადო კრება. კრებაზე მოწვეული იყო პარლამენტის წევრი ამხ. ქავთარაძე, რომელმაც ვრცელი მოხსენება გააკეთა საქალაქო და დამფუძნებელ კრების არჩევნებზე. მოხსენება კრების მიერ მოწონებულ იქმნა და დიდის ხმის უმეტესობით გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: ვღებთ რა მხედველობაში, რომ ერთად ერთი პარტია, რომელიც იცავს სწორად მშრომელი დემოკრატიის ინტერესებს და არას დროს არ უღალატნია იმისთვის, არის საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტია, ამისათვის ვუჭერთ მხარს ამ პარტიას მომავალ არჩევნებში.

კრების თავმჯდომარე ზ. გიორგიშვილი.

# პროვინცია

**ქ. ზუგდიდი** 25 იანვარს მოხდა ზუგდიდის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება ვ. ჯალაღონიას თავმჯდომარეობით. კრებაზე ამხ. ზაქარია გურულმა გააკეთა მოხსენება დამფუძნებელი კრების შესახებ. მან აღნიშნა დამფუძნებელი კრების იდეის ისტორია და განვითარება, მისი მნიშვნელობა და სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება ამ საკითხთან. კრებამ ყურადღებით მოისმინა ამხანაგის მოხსენება, ფრიად კმაყოფილი დარჩა და გადასწყვიტა მხურვალე მონაწილეობის მიღება საარჩევნო სამზადისში. გადაწყდა, რომ სოფლის მცხოვრები წევრები გაიფანტონ თავიანთ სოფლებში და გასწიონ პროპაგანდა აგიტაცია, დანარჩენები კი ჩაეწერონ ადგილობრივ საარჩევნო რაზმში და ყოველნაირი დახმარება გაუწიონ ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციას. ამის შემდეგ ამხ. მ. ვეკუამ ილაპარაკა აგრარულ პროგრამაზე. პარალელი გაიყვანა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა აგრარულ პროგრამებს შორის.

მდივანი მ. ფიფია.


# განცხადებანი

ექიმი
## ნ. გ. გეგეჭკორი
სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორღანოვის ქუჩა № 10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელეფ. 17—68

ბავშვთა თვალის სამკურნალო
(მუდმივი საწოლებით)
## ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი
## ვ. ნ. ჩუპრინინი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქ., № 30.

ექიმი
## დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი მ. ა. ზაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
## გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სინათლით და ბრწყინვალის ტიკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

ექიმი ქალი
## ე. ს. პარუკეს — ბეგურიშვილი
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა სამშობიარო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი ქალი
## ვ ა ი ნ ი
იღებს სპეციალურად სამშობიარო და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდებნაია, 33 ეზოში.

ექიმი
## ანასტია ლვოვიჩი-ორლოვსკი
მიიღებს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7.
ქსენიევის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—3)

ექიმი ქალი
## რ. გ. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამშობიარო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

## ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი თ. ა. [illegible]
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½ საათამდე, საღამოს 5—6 [illegible] ქუჩა № 7 [illegible] ტელეფონი 10—65.

საავადმყოფო
## კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველნაირი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფნი მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი
## კეკელია
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

კბილის ხელოვნური კაბინეტები
თბილისის სამსახურის და ცხოვრების
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—85.

ექიმი
## ი. გ. კონიევი
იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ვარდის უბნის ქ. № 3.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
## მ ა ხ ვ ი ლ ა ძ ე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხახხის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

# სახელმწიფო თეატრი
ხუთშაბათს, 6 თებერვალს სუფლიორის ნ. ნიკოლაევის ბენეფისი, საზანეევას, ზალიპსკის, ვრონსკის მონაწილეობით
## ტრავიატა
შაბათს, 8 თებერვალს სპექტაკლი გალა ქართველ კომპოზიტორის დიმიტრი ი. არაყიშვილის 15 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ თქმულება შოთა რუსთაველზე. 1—1

# სახელმწიფო თეატრი „კავშირი"-ს დასი.
წარ. № 18 პარასკევს, 7 თებერვალს წარ. № 18
„კავშირი"-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის პიესა
## მსხვერპლი
3 მოქმედებათ.
მონაწილეობს მთელი დასი. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია.
მზადდება: ხინათლე II ნაწილი. (2—1)

# სასოფლო მეურნეობის კურსები
მიწათ მოქმედების სამინისტრო ხსნის ამ მიმდინარე თებერვლის 17 ს სასოფლო მეურნეობის საღამოს კურსებს ორივე სქესისათვის სამი განყოფილებით: ქერნაზულის მოყვანის, საქონლის მოშენების (მერძეობითურთ) და მებაღეობის (ქვეყნისა მცენარეებით).
თხოვნას იღებენ მიწათ მოქმედების სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქუჩა, № 22 შესავალი ეზოდან, მესამე სართული), პირველი საათიდან სამ საათამდე.
თხოვნაზე ორი თითო მანეთიანი მარკა უნდა იყოს დაკრული. (10—1)

# ქართველო მებრძოლთ!
ქართველთა ლეგიონი იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად! მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა. მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ!
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა. მეორე ვაჟთა გიმნაზიის სახლი.
ლეგიონის სარდალი ლეო კერესელიძე. (6—2)

# განცხადება
ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიას ორთავე სქესისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიებში თავიანთი შვილები, მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები: 1) სქესი მოსწავლისა, 2) მოსწავლეთა რაოდენობა და 3) რომელ კლასში სურს შესვლა. სწავლის ფული იქნება არა უმეტეს იმისა, რაც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში.
მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეტანილი აქვთ მეორე ნახევარი სწავლის ფული და მით ისურვებენ ზემო აღნიშნულ გიმნაზიაში გადმოსვლას, ეს ფული უკან დაუბრუნდებათ. ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო. (10—8)